



## საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა

### მოდულების ინსტრუქცია

**მოდული** გულისხმობს მრავალკომპონენტურ სამუშაოს. მოდული შედგება ორი ნაწილისაგან: სტუდენტის მიერ შერჩეული **არჩევითი კურსი** და არჩევით კურსთან დაკავშირებული **ტუტორიალი**.

**არჩევითი კურსი** - არჩეული კურსის ფარგლებში მაგისტრანტები სიღრმისეულად შეისწავლიან შესაბამისი კურსით გათვალისწინებულ თეორიულ საკითხებს.

**ტუტორიალი** გულისხმობს არჩეული კურსის ფარგლებში, ტუტორთან ინტენსიურ კონსულტაციებს ლიტერატურის დამუშავებასთან, მაგისტრანტის კვლევის ინტერესების განსაზღვრა-გაღრმავებასთან, სამაგისტრო ნაშრომისათვის აუცილებელი ბიბლიოგრაფიის დამუშავებასა და დამუშავებული ლიტერატურის საფუძველზე საკვლევი საკითხის და მეთოდის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

მოდული აქცენტირებულია დამოუკიდებელ მუშაობაზე: თითოეული თეორიული თემატიკისათვის, სტუდენტმა უნდა მოიძიოს უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა და 4 (სტუდენტის მიერ შერჩეული) თემატიკის საფუძველზე მოამზადოს წერილობითი მიმოხილვა ან სადისკუსიო მასალა პრეზენტაციის სახით. აღნიშნულ მასალას სტუდენტი განიხილავს ტუტორთან ერთად დისკუსიის სახით. ასევე მოდულის ფარგლებში, სტუდენტი ტუტორთან ერთად იმუშავებს სამეცნიერო ლიტერატურაზე, განსაკუთრებული აქცენტი იქნება მეთოდოლოგიური მიდგომების შესწავლაზე, რაც დაეხმარება მაგისტრანტს შეიმუშაოს კვლევის სტრატეგია და მომავალში დამოუკიდებლად წარმართოს კვლევა შესაბამისი ლაბორატორიული როტაციის ფარგლებში.

### არჩევითი ლაბორატორიული როტაციების ინსტრუქცია

არჩევითი ლაბორატორიული როტაციების შერჩევა ხდება მაგისტრანტის სამეცნიერო-კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე, ტუტორთან შეთანხმებით.

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტებს შესაბამისი ქვემომართულების კვლევითი მეთოდების ათვისებისა და მათი შესაბამისი დამოუკიდებელი კვლევის ჩატარების საშუალება მიეცემა.

კვლევისას მაგისტრანტებს მოუწევთ არჩეული კვლევითი თემატიკის ირგვლივ უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და დამუშავება. აგრეთვე, კურსის ფარგლებში მაგისტრანტებს მოეთხოვებათ ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, ანალიზი, და აუდიტორიის წინაშე პრეზენტაცია.

კურსი მოიცავს ექსპერიმენტულ კვლევებს ლაბორატორიაში (კვირაში - 17 სთ), და სემინარს როტაციის ხელმძღვანელთან (კვირაში - 1 სთ). სემინარის მსვლელობისას მოხდება კვირის განმავლობაში მიღებული შედეგების განხილვა და შემდეგი კვირის კვლევითი სამუშაოების დაგეგმვა.

მაგისტრანტის ლაბორატორიული სამუშაოების ინდივიდუალური გრაფიკის შეთანხმება მოხდება როტაციის ხელმძღვანელთან. გრაფიკი განისაზღვრება დაგეგმილი კვლევიდან გამომდინარე და შესაძლოა ითვალისწინებდეს მაგისტრანტის ყოველდღიურ მოსვლას ლაბორატორიაში ან, მაგალითად კვირაში ორჯერ. ზუსტ გრაფიკზე შეთანხმება მოხდება სემესტრის დაწყების წინ. გარდა ამისა, კურსი მოიცავს 15 სემინარს როტაციის ხელმძღვანელთან, რომლის დროსაც სწავლების ვერბალური მეთოდი იქნება გამოყენებული.

კურსი ორიენტირებულია მაგისტრანტის დამოუკიდებელ მუშაობაზე: მაგისტრანტი დამოუკიდებლად, როტაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებული გეგმის მიხედვით, ახორციელებს კვლევით სამუშაოს. შესაბამისად,

შუალედური შეფასება ძირითადად პრაქტიკული სამუშაოების შეფასებას გულისხმობს. კურსის ფარგლებში, სემინარების დროს, სტუდენტი როტაციის ხელმძღვანელთან ერთად იმუშავებს სამეცნიერო შედეგების ანალიზსა და ინტერპრეტაციაზე, კვლევის დაგეგმვის პრინციპებზე. პარალელურად, მაგისტრანტი დამოუკიდებლად დაამუშავებს კვლევასთან რელევანტურ ლიტერატურას და მოამზადებს თეორიულ მიმოხილვას, რომელსაც წარუდგენს როტაციის ხელმძღვანელს სემინარზე. კურსის დასკვნითი დავალების სახით მაგისტრანტი ჩატარებული კვლევითი სამუშაოს შეჯამებას, შედეგების გაანალიზირებასა და ინტერპრეტაციას წარადგენს პრეზენტაციის სახით.